დანართი 1:

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ ბათუმში, შავშეთის ქ.13გ/15/15ა/15ბ/15გ/17ა- ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.29.06.024, 05.29.06.025, 05.29.06.029, 05.29.06.058, 05.29.06.060, 05.29.06.059, 05.29.06.015, 05.29.06.048, 05.29.06.023) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცებისათვის

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურში შპს ,,დურსუნის'' (ს/245445898) 2025 წლის 05 მარტის 1425064365-06 განცხადების საფუძველზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამუშავებისათვის დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, მათ შორის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 3,5-დან 17,0-მდე. ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა. აღნიშნული წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია ამ მაჩვენებლების გადამეტების საფუძველი - გდგ, შესაბამისად საჭიროებს დაგეგმვას და კერძო ინიციატივის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მერიის მიერ 2023 წლის 08 თებერვალს გამოცემულ იქნა N№14.14230396 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, შავშეთის ქ. N15-19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.29.06.024; N05.29.06.025 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ატვირთულია დანართის სახით, დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ წარმოდგენილ კონცეფციას და წარმოადგინონ მოსაზრებები, როგორც წერილობითი ფორმით საჯარო განხილვამდე, ასევე დააფიქსირონ საჯარო განხილვის დღეს.

განაშენიანების დეტალური გეგმასთან დაკავშირებით საჯარო განხილვის ორგანიზება დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს და აღნიშნულ წარმოებაზე საჯარო განხილვა გაიმართოს მიმდინარე წლის 25 მარტს 11 სთ-ზე.